საქართველოს გუნდების წარმატება

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 29 მარტი.

“ჩერნომორეცი”: ელინსკასი, პავლოვი, ლეშჩუკი, ჟარკოვი (მაშნინი), პლოსკინა, სკრიპნიკი, ჩილიბი, შარიი, ბელანოვი, შალომაი (გოლიაჩევი), იშჩაკი.

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, კაკილაშვილი, ცავა, გუცაევი, ყიფიანი, ჟვანია.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

დუბლიორები – 0:1. ბურთი გაიტანა ფრიდონიშვილმა.

ეს იყო ძალზე საპასუხისმგებლო, ძნელი მატჩი ორივე გუნდისთვის. პირველ ტურში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ “ჩერნომორეციც” და დინამოელებიც რთული ამოცანის წინაშე იმყოფებოდნენ, გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად უნდა ებრძოლა ორივეს, მით უმეტეს ოდესელებს, რომლებიც საკუთარი მაყურებლის წინაშე გამოდიოდნენ. ზედიზედ ორ დამარცხებას შინ “ჩერნომორეცს” იქაური მაყურებელი არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდა.

მასპინძლებმა საგრძნობი უპირატესობით დაიწყეს თამაში, თავდამსხმელებმა სახიფათო მომენტებიც შექმნეს, მაგრამ დინამოელთა მცველები და ნახევარმცველები ორგანიზებულად, ტაქტიკურად სწორად ებრძოდნენ მეტოქეს, კარგად ითამაშა მეკარე გაბელიამაც, ხოლო კონტრიერიშების დროს “დინამოს” თავდამსხმელებს სწრაფად, ეფექტურად უერთდებოდნენ შუა ხაზის მოთამაშეებიც.

სტუმრებმა ერთ–ერთი ასეთი კონტრშეტევა განახორციელეს 36–ე წუთზე. იგი წამოიწყო ხიზანიშვილმა, გააგრძელა კაკილაშვილმა და დაამთავრა ჟვანიამ. ამ უკანასკნელმა კარგად ითამაშა გადამწყვეტ მომენტში. სწრაფად გავიდა კარის წინ და ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში – 1:0.

შესვენების შემდეგ “ჩერნომორეცი” ბევრს ეცადა კვლავ ხელთ აეღო ინიციატივა, მაგრამ დინამოელებმა კიდევ უფრო აქტიურად, მონდომებით და კოლექტიურად ითამაშეს და თუ ვილაპარაკებთ სახიფათო მომენტებზე, “ჩერნომორეცის” კართან ისინი უფრო ხშირად იქმნებოდა. მართალია, სახიფათო მომენტები ჰქონდათ შალომაის, ჩილიბის, მაგრამ კიდევ უფრო მწვავე იყო დარასელიას, გუცაევისა და სხვათა გარღვევები, ხოლო შუა ტაიმში ყიფიანის ძლიერი დარტყმა ძელმა მოიგერია.

მატჩის ბოლო 10–15 წუთის მანძილზე თამაში კიდევ უფრო დაიძაბა, დინამოელებმა ბოლომდე ენერგიულად იბრძოლეს და საბოლოოდ შეინარჩუნეს კიდეც ეს მეტად საჭირო, დამსახურებული გამარჯვება.

“ლელო”, 31 მარტი, 1982 წ.